

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №21**

ქ.თბილისი

10.09.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

მაგდა მალრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი; სხდომის თავმჯდომარე;

ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;

ნიკოლოზ ალექსიძე - შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამთა კობახიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტი - დავით ბოსტოლანაშვილი.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლები:

ნუკრი გელაშვილი - რექტორი;

ნათია შეყილაძე.

სხდომა დაიწყო 16:25 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო, საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს მაგდა მალრაძე.



თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა და აცილება არ ყოფილა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და დაწესებულების წარმომადგენლებს, სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარეებმა და საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიშები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაურთოს ოქმს, როგორც მის განუყოფელი ნაწილი.

1. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა, დავით ბოსტოღანაშვილმა. მომხსენებელმა ისაუბრა ვიზიტის მიმდინარეობაზე, მისი თქმით, ვიზიტის დროს გარდა დოკუმენტაციის გადამოწმებისა, განხორციელდა შეხვედრა პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსთან, ვერ მოხერხდა შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსის წერილი შსს-ში საშუალო მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა სტატისტიკის შესახებ. ამასთან პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე 4 არჩევითი სასწავლო კურსი თავისი შინაარსიდან გამომდინარე კანონმდებლობით დადგენილი წესით იყო გასაიდუმლოებული, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სხვა სასწავლო კურსები, რომელმაც მისცა მათ საერთო წარმოდგენა არჩევითი კურსების შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნა დადებითი იყო, თუმცა შეიმუშავეს ერთი რეკომენდაცია, რომელიც მიმართული იყო პროგრამის გაუმჯობესებისკენ:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ სილაბუსში კიდევ უფრო დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები. ასე მაგალითად, საპოლიციო სამართლის სილაბუსის შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების კრიტერიუმებში აღნიშნულია: „პასუხი სრულია და დასაბუთებული. კვალიფიკაცია სწორია. მითითებულია კოდექსის შესაბამისი მუხლი, ნაწილი და პუნქტი. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის მოცემული. იუდიული ტერმინოლოგია სრულად არის დაცული. ტექსტი გრამატიკულად გამართულია. მსენელი ზედმიწევნით ფლობს განვლილ მასალას, ღმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომა არ არის. კაზუსი (საკითხი) უნაკლოდ არის ამოხსნილი. სამართლებრივი მსჯელობა მაღალ დონეზეა 16-20 ქულა“. ასევე სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მოცემულია, რომ „პრობლემის აქტუალობა არულყოფილად არის წარმოჩენილი, საკითხი განხილულია ამომწურავად. შეკითხვებზე პასუხი ამომწურავად არის გაცემული. საკუთარი პოზიციის დაცვის და დასკვნის ჩამოყალიბების უნარები სრულყოფილად არის წარმოჩენილი 15-20 ქულა“ ორივე შემთხვევაში მეტი სიცხადისათვის სასურველია გაიწეროს თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი 16 ან 20 ქულას.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ შესაძლოა, სტუდენტისთვის გაუგებარი ყოფილიყო ქულების დაგროვების სისტემა, შეეძლოთ სისტემა უფრო გასაგები გაეხადათ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.



დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ნაწილობრივ არ იზიარებდა რეკომენდაციას. მისი მოსაზრებით, დიფერენციაცია, პირობითად 0-დან 5-ქულამდე, 5-დან 10 ქულამდე, საკმარისი იყო და საჭირო არ იყო თითოეული ქულის უფრო დეტალურად გაწერა, სხვა შემთხვევაში, აღნიშნული უფრო ხელოვნურ სახეს მიიღებდა. საილუსტრაციოდ მოიყვანა შემთხვევა, როდესაც მოსამართლე შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებდა გადაწყვეტილებას სასჯელის შეფარდების თაობაზე მაგ. 7-12 წლამდე და ა.შ.

თუ სტუდენტი მოისურვებდა, ექნებოდა შესაძლებლობა მიეღო დეტალური ინფორმაცია მიღებული შეფასების შესახებ.

მაგდა მალრაძე დაინტერესდა, რამ განაპირობა პროგრამის ინიცირება, საიდან მოდიოდა მოთხოვნა და რატომ იქნა წარმოდგენილი პროგრამა სწორედ ასეთი სახით, ასევე, ვის მოიაზრებდნენ პოტენციურ სტუდენტებად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობა მიეცემოდათ სამართლის ბაკალავრებს. მისი თქმით, მრავალი გარემოების გამო, მოუხდათ ასეთი კვალიფიკაციის შემოთავაზება. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა საუკეთესო, წარმატებული პრაქტიკა, გათვალისწინებული იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება, მოიწვიეს სახელმწიფოებიდან შესაბამისი სპეციალისტები და მოაწვეეს შეხვედრა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამაში აქცენტი იყო გადატანილი პრევენციაზე, თუ ადრე ერთმანეთში არეული იყო პრევენცია და რეაგირება, ამჯერად სწორედ პრევენციაზე იყო აქცენტი გადატანილი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ქართულენოვანი ლიტერატურა თუ არსებობდა ამ მიმართულებით, მიმართა ექსპერტს, რამდენად დამაკმაყოფილებელი იყო პროგრამაში წარმოდგენილი ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი ლიტერატურა ჰქონდათ წარმოდგენილი, ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილი ჰქონდათ უცხო ენის B2 დონეზე ფლობა. წარმომადგენლის თქმით, სილაბუსებით გათვალისწინებული წიგნების დიდი ნაწილი გამოიწერეს და ჩამოიტანეს, ბიბლიოთეკა საკმაოდ კარგად იყო აღჭურვილი.

ექსპერტმა დავით ბოსტოლანაშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სათანადო წიგნადი ფონდი პროგრამის განსახორციელებლად.

თამარ ზარანდიაშვილმა აღნიშნა, რომ გაეცნო პროგრამას და დადებითად აფასებდა როგორც მთლიანად პროგრამას, ასევე, მის მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსს. მისი თქმით, მნიშვნელოვანი იყო პროგრამის განხორციელება, რადგან კადრების დეფიციტი იყო ბაზარზე.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დატვირთვით, რადგან 132 კრედიტით იყო პროგრამა წარმოდგენილი და რამ განაპირობა აღნიშნული, ასევე, ხომ არ ახდენდა წარმოდგენილი საკითხი გავლენას პროგრამის ხანგრძლივობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეეცადნენ, ხელოვნურად არ ყოფილიყვნენ ორიენტირებულები 120 კრედიტზე და პროგრამა შეედგინათ სასურველი პროდუქტის გათვალისწინებით, მათ რეალურად დაიანგარიშეს თითოეული სასწავლო კურსისათვის დასახარჯი დრო და მთლიანობაში სწორედ 132 კრედიტი გამოვიდა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მოსაზრებით, პროგრამა ვერ იქნებოდა წარმატებული მხოლოდ „საკაბინეტო სწავლების“ პირობებში, აღნიშნულმა განაპირობა მთელი რიგი კომპონენტების პროგრამაში შემოტანა, რაც თავის მხრივ პროგრამის კრედიტ-მოცულობაზეც აისახა.

სწავლების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთლიანობაში პროგრამა ორ აკადემიურ წელზე იყო გათვლილი, ტიპური პროგრამებისაგან განსხვავებით, ყოველდღიურად 4-5 საათი იქნებოდა გათვალისწინებული საკონტაქტოდ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თანახმად, პროგრამაში არანაკლებ 75% უნდა ეთმობოდეს რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი



კომპეტენციების გამომუშავებას. აღნიშნული მიდგომა წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში კარგად იყო გათვალისწინებული.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, დაწესებულება თუ გეგმავდა დასაქმებული სტუდენტების მიღებას და როგორ შეუწყობდნენ მათ ხელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აპირებდნენ სწავლების დღის საათებში განხორციელებას, ამდენად, დასაქმებულ სტუდენტებს გაუჭირდებოდათ პროგრამის დაძლევა. პროგრამაზე დიდი მოთხოვნა იყო და ვარაუდობდნენ, რომ კურსდამთავრებულს დასაქმება არ გაუჭირდებოდა. მათი მოსაზრებით, მაგისტრანტების მუშაობის ძირითადი მიზეზი სწავლის საფასურის დაფარვა იყო, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ამ მხრივ მაქსიმალურად შეეწყობოდათ ხელი, სრულად იქნებოდნენ უზრუნველყოფილი საერთო საცხოვრებლით (რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტები) და კვებითაც კი, ამდენად, შესაძლებლობა ექნებოდათ მხოლოდ სწავლაზე ყოფილიყვნენ ორიენტირებულები.

16:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 16:55 საათზე.

თავმჯდომარემ გამოაცხადა მიღებული გადაწყვეტილება:

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0).

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტის რეკომენდაცია სარეკომენდაციო ხასიათის იყო და დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა შეუსაბამოაში არ მოდიოდა სტანდარტთან, თუმცა, საბჭოც იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას საკითხზე და მოუწოდა დაწესებულებას, სამომავლოდ გაეთვალისწინებინათ რეკომენდაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 17:00 საათზე.

თავმჯდომარე
მაგდა მადრაძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე


